



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 346
12/02/2018

ქალაქი ბათუმი

346-05-4-201802121543



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრისთვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეძენილი ქონების მოწოდებაზე ინსპექტირების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსის კახაბერ ფუტკარაძის 2018 წლის 07 თებერვლის №406-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელვაჩაურის კულტურის ცენტრისთვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეძენილი ქონების მოწოდებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით შეიქმნას ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ნინო ფალავა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორი ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ) ნუგზარ გორგილაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ) ომარ დუმბაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი.

ე) ბეგლარ ცინცაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის იურისტი - ჯგუფის მდივანი.

2. ჯგუფმა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების (ვალდებულებების) შესრულების კონტროლი და შესრულებული ვალდებულებების მიღება-ჩაბარების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრისთვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შექმნილი ქონების მოწოდებაზე ინსპექტირების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ოქტომბრის №1997 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

